საქართველოს პარლამენტი

# 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

# მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
ოქტომბერი

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

| | | |
|---|---|---|
| შემოსულობები - 20,428.5 მლნ ლარი | 102.1% 9 თვის გეგმის | 74.1% წლიური გეგმის |
| გადასახდელები - 19,217.2 მლნ ლარი | 93.0% 9 თვის გეგმის | 68.8% წლიური გეგმის |

| | | |
|---|---|---|
| ნაშთის ცვლილება 1,211.3 მლნ ლარი | საოპერაციო სალდო 1,844.6 მლნ ლარი | მთლიანი სალდო 73.3 მლნ ლარი |

## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები







## გადასახადების სტრუქტურა




## ხარჯების სტრუქტურა



# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2025 წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 20,428.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,560.8 მლნ ლარი) 74.1%-ს და 9 თვის გეგმის[1] (20,013.1 მლნ ლარი) 102.1%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,425.7 მლნ ლარით (7.5%-ით) აღემატება (ძირითადად, შემოსავლების მატების გავლენით).

2025 წლის 9 თვეში, **გადასახდელები** 19,217.2 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,941.7 მლნ ლარი) 68.8%-ს და 9 თვის გეგმის (20,669.1 მლნ ლარი) 93.0%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 9 თვის მაჩვენებელს 968.7 მლნ ლარით (5.3%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ხარჯების მატების გავლენით).







**შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება,** 9 თვის გეგმის მიმართ, ყველა კომპონენტი, გარდა ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებისა (94.5%), გადაჭარბებით ხასიათდება: შემოსავლები 102.5%-ს შეადგენს, ხოლო ფინანსური და არაფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები მნიშვნელოვანი, შესაბამისად, 36.4%-იანი და 14.9%-იანი დადებითი გადახრით გამოირჩევა.

**გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით,** 9 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 97.9% და 99.4%), ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი გადაჭარბებით გამოირჩევა (101.2%), ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს დაბალი მაჩვენებელი აქვს (64.7%).







[1] 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება).

**სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი** წლის დასაწყისისათვის 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 9 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) 1,211.3 მლნ ლარი შეადგინა და 2025 წლის 1 ოქტომბრისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,597.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.




**გადასახადების** სახით, იანვარ-სექტემბერში მობილიზებულია 16,176.2 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 100.1%-ს და წლიური გეგმის 73.9%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადების 9 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 91.2% - 101.3%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი, ხოლო მოგების გადასახდი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 9 თვეში დაიგეგმა 200.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი 488.8 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 1,292.8 მლნ ლარით (8.7%-ით), ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის, აგრეთვე, დღგ-ის, შესაბამისად, 12.7%-იანი და 6.0%-იანი მატების გავლენით.




2025 წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 1,844.6 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** 73.3 მლნ ლარი შეადგინა.




**ხარჯების** მაჩვენებელმა, 9 თვეში, 15,922.1 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 97.9% და წლიური გეგმის 72.9% შეადგინა. სახეების მიხედვით, ხარჯების 9 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, გრანტების (105.7%), სუბსიდიებისა (102.8%) და სოციალური უზრუნველყოფის (101.9%) მუხლები, გადაჭარბებით გამოირჩევა, სხვა ხარჯებისა (97.7%) და პროცენტის (94.8%) მუხლები კარგი შესრულებით ხასიათდება, საქონლისა და მომსახურების (86.0%) და აგრეთვე, შრომის ანაზღაურების ხარჯებს (92.9%) კი დაბალი მაჩვენებლები აქვს. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 1,704.7 მლნ ლარით (12.0%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების (705.9 მლნ ლარით) მატების გავლენით.



## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| დასახელება | 2024 წლის 9 თვის ფაქტი | 2025 წლის წლიური გეგმა | 2025 წლის 9 თვის გეგმა* | 2025 წლის 9 თვის ფაქტი | 9 თვის გეგმის შესრულების % | წლიური გეგმის შესრულების % | %-ული ცვლილება წინა წლის 9 თვის ფაქტთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **19,002.8** | **27,560.8** | **20,013.1** | **20,428.5** | **102.1%** | **74.1%** | **7.5%** |
| **შემოსავლები** | **16,213.0** | **23,434.9** | **17,332.9** | **17,766.7** | **102.5%** | **75.8%** | **9.6%** |
| გადასახადები | 14,883.4 | 21,885.0 | 16,155.0 | 16,176.2 | 100.1% | 73.9% | 8.7% |
| საშემოსავლო გადასახადი | 4,942.1 | 7,369.0 | 5,499.0 | 5,570.3 | 101.3% | 75.6% | 12.7% |
| მოგების გადასახადი | 2,498.9 | 3,070.0 | 2,385.0 | 2,174.4 | 91.2% | 70.8% | -13.0% |
| დღგ | 5,586.6 | 8,136.0 | 6,024.0 | 5,923.4 | 98.3% | 72.8% | 6.0% |
| აქციზი | 1,839.4 | 2,650.0 | 1,933.0 | 1,911.4 | 98.9% | 72.1% | 3.9% |
| იმპორტის გადასახადი | 105.1 | 150.0 | 114.0 | 107.9 | 94.6% | 71.9% | 2.7% |
| სხვა გადასახადები | -88.7 | 510.0 | 200.0 | 488.8 | 244.4% | 95.8% | -651.0% |
| გრანტები | 243.0 | 199.9 | 144.5 | 199.1 | 137.8% | 99.6% | -18.1% |
| სხვა შემოსავლები | 1,086.7 | 1,350.0 | 1,033.4 | 1,391.4 | 134.6% | 103.1% | 28.0% |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **181.7** | **300.0** | **228.0** | **262.0** | **114.9%** | **87.3%** | **44.2%** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **268.9** | **400.0** | **198.0** | **270.2** | **136.4%** | **67.5%** | **0.5%** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **2,339.1** | **3,425.9** | **2,254.2** | **2,129.6** | **94.5%** | **62.2%** | **-9.0%** |
| საშინაო | 1,022.4 | 1,600.0 | 1,135.4 | 1,122.1 | 98.8% | 70.1% | 9.8% |
| საგარეო | 1,316.7 | 1,825.9 | 1,118.8 | 1,007.5 | 90.1% | 55.2% | -23.5% |
| | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **18,248.4** | **27,941.7** | **20,669.1** | **19,217.2** | **93.0%** | **68.8%** | **5.3%** |
| **ხარჯები** | **14,217.5** | **21,842.0** | **16,260.5** | **15,922.1** | **97.9%** | **72.9%** | **12.0%** |
| შრომის ანაზღაურება | 1,844.2 | 3,035.0 | 2,261.0 | 2,100.8 | 92.9% | 69.2% | 13.9% |
| საქონელი და მომსახურება | 1,609.0 | 2,485.3 | 1,871.2 | 1,609.7 | 86.0% | 64.8% | 0.0% |
| პროცენტი | 1,190.8 | 1,745.0 | 1,440.1 | 1,365.8 | 94.8% | 78.3% | 14.7% |
| სუბსიდიები | 762.6 | 1,021.6 | 767.7 | 789.2 | 102.8% | 77.3% | 3.5% |
| გრანტები | 1,108.1 | 1,856.5 | 1,276.6 | 1,349.0 | 105.7% | 72.7% | 21.7% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 5,740.7 | 8,446.3 | 6,328.5 | 6,446.5 | 101.9% | 76.3% | 12.3% |
| სხვა ხარჯები | 1,962.1 | 3,252.3 | 2,315.5 | 2,261.2 | 97.7% | 69.5% | 15.2% |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **2,923.9** | **4,258.9** | **3,142.7** | **2,033.3** | **64.7%** | **47.7%** | **-30.5%** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **182.1** | **424.1** | **219.6** | **222.1** | **101.2%** | **52.4%** | **22.0%** |
| **ვალდებულებების კლება** | **925.0** | **1,416.7** | **1,046.3** | **1,039.6** | **99.4%** | **73.4%** | **12.4%** |
| საშინაო | 34.7 | 42.9 | 34.9 | 32.1 | 91.8% | 74.7% | -7.6% |
| საგარეო | 890.3 | 1,373.8 | 1,011.4 | 1,007.6 | 99.6% | 73.3% | 13.2% |
| | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **754.3** | **-381.0** | **-656.0** | **1,211.3** | | | |

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 434)

## დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

| დასახელება | 2024 წლის 9 თვის ფაქტი | 2025 წლის წლიური გეგმა | 2025 წლის 9 თვის გეგმა | 2025 წლის 9 თვის ფაქტი | 9 თვის გეგმის შესრულების % | წლიური გეგმის შესრულების % | %-ული ცვლილება წინა წლის 9 თვის ფაქტთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **16,213.0** | **23,434.9** | **17,332.9** | **17,766.7** | **102.5%** | **75.8%** | **9.6%** |
| გადასახადები | 14,883.4 | 21,885.0 | 16,155.0 | 16,176.2 | 100.1% | 73.9% | 8.7% |
| გრანტები | 243.0 | 199.9 | 144.5 | 199.1 | 137.8% | 99.6% | -18.1% |
| სხვა შემოსავლები | 1,086.7 | 1,350.0 | 1,033.4 | 1,391.4 | 134.6% | 103.1% | 28.0% |
| **ხარჯები** | **14,217.5** | **21,842.0** | **16,260.5** | **15,922.1** | **97.9%** | **72.9%** | **12.0%** |
| შრომის ანაზღაურება | 1,844.2 | 3,035.0 | 2,261.0 | 2,100.8 | 92.9% | 69.2% | 13.9% |
| საქონელი და მომსახურება | 1,609.0 | 2,485.3 | 1,871.2 | 1,609.7 | 86.0% | 64.8% | 0.0% |
| პროცენტი | 1,190.8 | 1,745.0 | 1,440.1 | 1,365.8 | 94.8% | 78.3% | 14.7% |
| სუბსიდიები | 762.6 | 1,021.6 | 767.7 | 789.2 | 102.8% | 77.3% | 3.5% |
| გრანტები | 1,108.1 | 1,856.5 | 1,276.6 | 1,349.0 | 105.7% | 72.7% | 21.7% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 5,740.7 | 8,446.3 | 6,328.5 | 6,446.5 | 101.9% | 76.3% | 12.3% |
| სხვა ხარჯები | 1,962.1 | 3,252.3 | 2,315.5 | 2,261.2 | 97.7% | 69.5% | 15.2% |
| **საოპერაციო სალდო** | **1,995.6** | **1,592.9** | **1,072.4** | **1,844.6** | **172.0%** | **115.8%** | **-7.6%** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **2,742.2** | **3,958.9** | **2,914.7** | **1,771.3** | **60.8%** | **44.7%** | **-35.4%** |
| ზრდა | 2,923.9 | 4,258.9 | 3,142.7 | 2,033.3 | 64.7% | 47.7% | -30.5% |
| კლება | 181.7 | 300.0 | 228.0 | 262.0 | 114.9% | 87.3% | 44.2% |
| **მთლიანი სალდო** | **-746.6** | **-2,366.0** | **-1,842.3** | **73.3** | **-4.0%** | **-3.1%** | **-109.8%** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **667.5** | **-356.9** | **-634.4** | **1,163.3** | **-183.4%** | **-326.0%** | **74.3%** |
| **ზრდა** | **936.4** | **424.1** | **219.6** | **1,433.4** | **652.9%** | **338.0%** | **53.1%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 754.3 | 0.0 | 0.0 | 1,211.3 | | | 60.6% |
| სესხები | 180.9 | 421.7 | 217.1 | 135.0 | 62.2% | 32.0% | -25.4% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 1.2 | 2.5 | 2.5 | 87.1 | 3556.8% | 3556.8% | 7322.5% |
| **კლება** | **268.9** | **781.0** | **854.0** | **270.2** | **31.6%** | **34.6%** | **0.5%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 381.0 | 656.0 | 0.0 | 0.0% | 0.0% | |
| სესხები | 268.9 | 400.0 | 198.0 | 269.3 | 136.0% | 67.3% | 0.2% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.8 | | | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **1,414.1** | **2,009.1** | **1,207.8** | **1,090.0** | **90.2%** | **54.3%** | **-22.9%** |
| **ზრდა** | **2,339.1** | **3,425.9** | **2,254.2** | **2,129.6** | **94.5%** | **62.2%** | **-9.0%** |
| საშინაო | 1,022.4 | 1,600.0 | 1,135.4 | 1,122.1 | 98.8% | 70.1% | 9.8% |
| საგარეო | 1,316.7 | 1,825.9 | 1,118.8 | 1,007.5 | 90.1% | 55.2% | -23.5% |
| **კლება** | **925.0** | **1,416.7** | **1,046.3** | **1,039.6** | **99.4%** | **73.4%** | **12.4%** |
| საშინაო | 34.7 | 42.9 | 34.9 | 32.1 | 91.8% | 74.7% | -7.6% |
| საგარეო | 890.3 | 1,373.8 | 1,011.4 | 1,007.6 | 99.6% | 73.3% | 13.2% |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | | | |

საქართველოს პარლამენტი